საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაციტაძე დავით (დევი) ვარლამის ძე

კაციტაძე დავით (დევი) ვარლამის ძე (8. XI. 1928, თბილისი, – 30. V. 2009, იქვე), ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1974), თსუ-ის აღმ. ისტორიის კათედრის გამგე (1973). 1955 დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი ირანის ისტორიის სპეციალობით. კ. იკვლევდა ირანისა და ირან-საქართველოს ურთიერთობის სოც.-ეკონომიკური და *პოლიტ.* ისტორიის, ქართული და სპარსული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს. მრავალი ნაშრომის ავტორია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: სპარსული საისტორიო ტექსტები, I. ქრესტომათია, შეადგინეს ჯ. გიუნაშვილმა და დ. კაციტაძემ, თბ., 1972; საქართველო XIV–XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975; ვ. გაბაშვილი. ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა, თბ., 1986; ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭროეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII–XVIII სს.), თბ., 1992; Грузино-иранские культурно-историчэские связи, Тб., 1978 (თანაავტ. Ал. Гвахария).